ფისკალური სექტორის

მაკროეკონომიკური რისკები ანალიზი

2014-2018წწ.

მაკროეკონომიკური რისკები

1. შესავალი

ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ქვეყნის მაკროეკონომიკურ განვითარებაზე, რაც თავის მხრივ იმოქმედებს ქვეყნის ფისკალურ მდგომარეობაზე. ფინანსთა სამინისტროს მიზანია გამოავლინოს მაკროეკონომიკური რისკები და შეაფასოს მათი ფისკალური შედეგები, რათა მთავრობას წინასწარ ჰქონდეს შემუშავებული, როგორც ნეგატიური ისე პოზიტიური გადახრების შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკის პასუხები.

მაკროეკონომიკური რისკების შეფასების პროცესში გამოვლენილია ყველა ის შესაძლო დადებითი თუ უარყოფითი ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, რომელსაც გავლენა ექნება მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

გამოვლენილი რისკების ანალიზის საფუძველზე დოკუმენტში განხილულია მაკროეკონომიკური განვითარების სამი სცენარი: საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური.

საბაზისო სცენარი წარმოადგენს, ეკონომიკური განვითარების იმ მოსალოდნელ ვარიანტს, რომლის მოხდენის ალბათობაც საშუალოვადიან პერიოდში ყველაზე მაღალია. შესაბამისად, აღნიშნული სცენარის საფუძველზე ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენა.

პესიმისტური სცენარი შექმნილია ეკონომიკური განვითარების შეფერხების, ხოლო ოპტიმისტური სცენარი შექმნილია ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შემთხვევისათვის.

მაკროეკონომიკური რისკების ეფექტიანი მართვისათვის მნიშვნელოვანია წინასწარ იქნას განსაზღვრული, თუ როგორი ფისკალური პასუხები ექნება მთავრობას საბაზისო სცენარიდან გადახრის შემთხვევაში. ამ მიზნით, აღნიშნული დოკუმენტი შეიცავს ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებზე მთავრობის პასუხებს.

2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

2.1. მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა

პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი შეადგენს 6 პროცენტს გრძელვადიან პერიოდში. არსებული პროგნოზების მიხედვით, 2014 წელს ეკონომიკური ზრდა 5.0 პროცენტს გადააჭარბებს. წინასწარი შეფასებით, 2014 წლის პირველი ცხრა თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ 5,9 პროცენტი შეადგინა.

2014 წლის 2 კვარტლის მონაცემზე დაყრდნობით, ქვეყნის ეკონომიკა პოტენციურ დონეს უმნიშვნელოდ (დაახლოებით 1 პროცენტით) ჩამორჩება და წლის ბოლომდე პოტენციური ზრდის ტემპს მიაღწევს.

2.2 ფასები

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკას, რაც ითვალისწინებს ეკონომიკის განვითარებისათვის ოპტიმალური ინფლაციის დონის განსაზღვრას და აღნიშნული მაჩვენებლის მიღწევას. 2014 წლისათვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენს 6 პროცენტს, 2015 წლისათვის კი 5 პროცენტს.

2014 წლის საპროგნოზო საშუალოწლიური ინფლაციის მაჩვენებელი შეადგენს 3,5 პროცენტს. 2014 წლის დეკემბრისთვის დაგეგმილია ინფლაციის 5 პროცენტიანი მაჩვენებლის მიღწევა და მოსალოდნელია, რომ 2015 წლისათვის მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში ჩამოყალიბდება.

2.3 ლარის გაცვლითი კურსი

საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. მსგავსი რეჟიმის პირობებში გაცვლითი კურსი ხასიათდება მერყეობით მოკლევადიან პერიოდში, თუმცა იგი სტაბილურია გრძელვადიან პერიოდში. იმავდროულად, მცურავი სავალუტო კურსი არბილებს საგარეო შოკების გავლენას საქართველოზე.

2014 წლის მეორე კვარტლის ბოლო პერიოდის მდგომარეობით, არსებული რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი ახლოს არის მის წონასწორულ დონესთან.

2.4 საბიუჯეტო პოლიტიკა

მთავრობა მისდევს ფისკალური დეფიციტის თანმიმდევრული შემცირების პოლიტიკას საშუალოვადიან პერიოდში. 2014 წელს დაგეგმილია ბიუჯეტის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 3,7 პროცენტის ოდენობით. აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდება 2015 წელს 3,0 პროცენტამდე და 2016 წელს 2.5 პროცენტამდე.

2.5 მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2013 წელს საგრძნობლად შემცირდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და მთლიანი შიდა პროდუქტის 5.8 პროცენტი შეადგინა.

2014 წლისათვის მოსალოდნელია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა მთლიანი შიდა პროდუქტის 8.4 პროცენტამდე. საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება აღნიშნული მაჩვენებლის 6-7 პროცენტის ფარგლებში შენარჩუნებისაკენ. დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

2.6 სახელმწიფო ვალი

საქართველოს მთავრობის ვალი საკმაოდ დაბალია. 2014 წლის ბოლოსათვის მთავრობის ვალი მშპ-სთან მიმართებაში შეადგენს 36.4 პროცენტს. მათ შორის, საგარეო ვალი იქნება 27.6, ხოლო საშინაო ვალი - 8.8 პროცენტი.

აღნიშნული მაჩვენებელი, სახელმწიფო ვალის კრიტიკული მაჩვენებლისგან საკმაოდ შორსაა. თუმცა, საგარეო ვალის მაღალი წილის გამო, საგარეო მოწყვლადობის შესამცირებლად, მთავრობა გეგმავს შიდა ვალის წილის ზრდას. დაგეგმილია, რომ საშუალოვადიან პერიოდში მთლიანი ვალის მოცულობა 40-ზე დაბალი იქნება.

2.7 ახალი პროგრამა სავალუტო ფონდთან

2014 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასულებელმა საბჭომ დაამტკიცა 36 თვიანი საქართველოს მთავრობის ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა. აღნიშნული პროგრამის განხორციელება საშუალებას მოგვცემს შევამციროთ მაკროეკონომიკური მოწყვლადობა,

გავაფართოვოთ ეკონომიკური პოლიტიკის ბუფერები და გავაუმჯობესოთ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. პროგრამა ითვალისწინებს 100 მლნ. SDR-ის (დაახლ. 156 მლნ. USD) ფარგლებში საბიუჯეტო დახმარებას. თუმცა, ფინანსურ მხარდაჭერაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა გაზრდის ქვეყნის მიმართ ნდობის ხარისხს.

2.8 კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

სამეწარმეო სექტორში 2014 წელს შეინიშნება მნიშვნელოვანი გააქტიურება. პროდუქციის გამოშვება ბიზნეს სექტორში წლის პირველ ნახევარში გაიზარდა 13.1 პროცენტით, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 7 ათასი ადამიანით.

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ეკონომიკურ ზრდაში აშკარა წარმმართველი როლი ჰქონდა კერძო სექტორს. აღნიშნულ პერიოდში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები გაიზარდა 36 პროცენტით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 15[1] პროცენტით.

[1] პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდაში ჩათვლილია ის ინვესტიციები, რომლებიც წინა პერიოდში ითვლებოდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებად, ხოლო 2014 წლის მეორე კვარტალში რეკლასიფიცირდა პორტფელურ ინვესტიციებად.

3. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გავლენა ფისკალურ მდგომარეობაზე

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საპროგნოზო მნიშვნელობიდან გადახრის შემთხვევაში, მაკროეკონომიკური რისკების ფისკალურ სექტორზე გავლენის შეფასება ეფუძნება ხარჯებზე, შემოსავლებზე და დეფიციტზე გავლენის სიდიდის განსაზღვრას.

ფისკალურ სექტორზე მოქმედ ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს წარმოადგენს: ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, გაცვლითი კურსი და საპროცენტო განაკვეთები. საპროგნოზო მაჩვენებლიდან დადებითი და უარყოფითი გადახრის სიდიდე განსაზღვრულია, აღნიშნული მაჩვენებლების ისტორიული მერყეობების მაშტაბების გათვალისწინებით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია, აღნიშნული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საბაზისო მაჩვენებლიდან გადახრის ფისკალურ სექტორზე გავლენის სიდიდე.

სცენარები			გადახრა საბაზისოდან							
			ლარი				% მშპ-სთან			
			შემოსავლები	ხარჯები	დეფიციტი	დაფინანსების წყაროები	შემოსავლები	ხარჯები	დეფიციტი	დაფინანსების წყაროები
მშპ[2]	**დადებითი**	**7.2%**	111.0	-	(111.0)	-	0.35%	-	-0.35%	-
	უარყოფითი	**1.0%**	(198.0)	-	198.0	-	-0.62%	-	0.62%	-
ინფლაცია[3]	**დადებითი**	**10.0%**	275.0	-	(275.0)	-	0.86%	-	-0.86%	-
	უარყოფითი	**-0.5%**	(205.0)	-	205.0	-	-0.64%	-	0.64%	-
გაცვლითი [4]კურსი	**დადებითი**	**1.9**	(19.3)	53.4	72.7	(38.3)	-0.06%	0.17%	0.23%	-0.12%
	უარყოფითი	**1.7**	19.3	(30.6)	(49.9)	38.3	0.06%	-0.10%	-0.16%	0.12%
საპროცენტო[5] განაკვეთი	**დადებითი**	**2.3%**	-	(9.7)	(9.7)	-	-	-0.03%	-0.03%	-
	უარყოფითი	**3.8%**	-	14.5	14.5	-	-	0.05%	0.05%	-

[2] ეკონომიკური ზრდის ნეგატიური გადახრა გაანგარიშებულია როგორც 2010-2013 წლების ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებლიდან **ორი** სტანდარტული გადახრა. ხოლო პოზიტიური გადახრა 2010-2013 წლების ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებლიდან **ერთი** სტანდარტული გადახრა

[3] ინფლაციის ნეგატიური მაჩვენებლისათვის აღებულია ბოლო ხუთი წლის მაქსიმუმი, ხოლო დადებითი მაჩვენებლისათვის ბოლო ხუთი წლის მინიმუმი

[4] ლარის გაცვლითი კურსი პესიმისტური მაჩვენებელი გამოანგარიშებულია როგორც საპროგნოზო მაჩვენებლიდან ბოლო ხუთი წლის ორი სტანდარტული გადახრა ვალუტის გამყარების კუთხით. ხოლო ოპტიმისტური მაჩვენებელი გამოანგარიშებულია როგორც საპროგნოზო მაჩვენებლიდან ბოლო ხუთი წლის ორი სტანდარტული გადახრა, ვალუტის გამყარების კუთხით;

[5] საბაზისოდან საპროცენტო განაკვეთის დადებითი და უარყოფითი გადახრა გამოანგარიშებულია როგორც LIBOR-ის ერთი სტანდარტული გადახრა 2010-2013 წლებში ცვალებადი პროცენტით აღებულ საგარეო სესხებზე და 2010-2013 წლებში ისტორიული მინიმუმი და მაქსიმუმი ადგილობრივ სესხებზე.

აღნიშნული ანალიზი აჩვენებს, რომ ფისკალურ სექტორზე მოქმედი მნიშვნელოვანი პარამეტრებია ეკონომიკური ზრდა და ფასების საერთო დონე. ხოლო, საპროცენტო განაკვეთი და გაცვლითი კურსი უმნიშვნელო გავლენას ახდენენ ფისკალური სექტორის მდგომარეობაზე, რის გამოც მაკროეკონომიკური სცენარები გაანგარიშებულია მხოლოდ ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის შოკების გათვალისწინებით.

4. მაკროეკონომიკური რისკები

მაკროეკონომიკური რისკების იდენტიფიცირების პროცესში გამოვლენილია ყველა ის ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენს ან ეკონომიკურ ზრდაზე ან ინფლაციაზე.

4.1 პოზიტიური ფაქტორები

4.1.1. ნავთობპროდუქტებზე ფასების შემცირება

სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციები 2015 წლისათვის პროგნოზირებენ ნავთობპროდუქტებზე ფასების 4-6%-ით შემცირებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოქტომბრის თვის მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვის (World Economic Outlook) მიხედვით, როგორც 2014, ისე 2015 წლისათვის მოსალოდნელია ნავთობის ფასების კლება.

ბოლო წლების განმავლობაში, ნავთობის და ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოს იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზეა და 2013 წელს 1,3 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. აღნიშნულ საქონელზე ფასების კლება შეამცირებს საწარმოო დანახარჯებს და წაახალისებს ეკონომიკურ აქტივობას.

4.1.2. ინვესტორთა ნდობის ამაღლება

2014 წელს საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი გამოცოცხლება შეინიშნება და მოსალოდნელია რომ ეს პროცესები წლის განმავლობაშიც შენარჩუნდება. მნიშვნელოვნად იზრდება კერძო ინვესტიციები და შესამჩნევად გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება. აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნება სავარაუდოა მომავალში, რაც დადებითად იმოქმედებს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე.

4.1.3. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებამ (DCFTA) და ევროპულ სტრუქტურებთან დაახლოებამ, მნიშვნელოვან პოზიტიურ მოლოდინებს ქმნის. იგი ხელს შეუწყობს ექსპორტის ზრდას და ბიძგს მისცემს ქვეყნის განვითარებას.

4.2 ნეგატიური ფაქტორები

4.2.1. ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში

უკრაინა საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო პარტნიორია, რომლის ეკონომიკაში მიმდნარე პროცესებიც პირდაპირ აისახება ჩვენი ქვეყნის ექსპორტის და შესაბამისად მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე.

უკრაინა-რუსეთს შორის მიმდინარე პროცესები უარყოფითად იმოქმედებს უკრაინის ეკონომიკაზე. ასევე შეინიშნება ჰრივნის გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი გაუფასურებაც, რაც დამატებითი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს უკრაინაში რეცესიული პროცესების გასაძლიერებლად.

რუსეთის ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფით გავლენას იქონიებს მასსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის ურთიერთსანქციების დაწესება. აღნიშნული გარემოება ქმნის მნიშვნელოვან რისკებს საქართველოს ეკონომიკისათვის და შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ექსპორტის და შესაბამისად მთლიან შიდა პროდუქტის ზრდაზე

4.2.2 ევრაზიის საბაჟო კავშირი

ევრაზიის საბაჟო კავშირის წევრ ქვეყნებში (რუსეთი,ყაზახეთი, ბელორუსია) ექსპორტის ცვლილება შესაძლებელია გამოწვეულ იქნას საბაჟო კავშირის საერთო რეგულაციების ცვლილების გამო, რაც დამატებით რისკ-ფაქტორს წარმოადგენს ქართული პროდუქციის ექსპორტისათვის და შესაბამისად მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილებისათვის.
მოსალოდნელ შეზღუდვებს შესაძლოა შეურთდეს სომხეთიც, რომელიც წარმოადგენს საქართველოს რიგით მეორე საექსპორტო ქვეყანას.

4.2.3 რუსეთის მხრიდან შესაძლო სავაჭრო შეზღუდვები

2006 წელს რუსეთმა საქართველოს დაუწესა ემბარგო, რომლის შემდეგაც მანამდე საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვა მკვეთრად შემცირდა. თუ მანამდე რუსეთში ექსპორტი საქართველოს ექსპორტის 16-17 პროცენტის ფარგლებში იყო, უკვე 2007-2012 წლებში ეს მაჩვენებელი 2 პროცენტზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა.

აღნიშნულ მოვლენას გავლენა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საერთო სურათზე და გამეორების შემთხვევაში მოსალოდნელია მისი ნეგატიური ეფექტები მშპ-ს ზრდის ტემპზე.

4.2.4 სახელმწიფო საინვესტიციო ხარჯების შემცირება

სახელმწიფო კაპიტალური ხარჯებისათვის გამოყოფილი თანხების სრულად ათვისების შესაძლებლობა წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს. იგი შესაძლებელია გამოწვეული იყოს, როგორც საშინაო ისე საგარეო ფაქტორებით. საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში შეფერხება გამოიწვევს მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას.

4.2.5 ავტომობილების ექსპორტის შემცირება.

ავტომობილების ექსპორტს 2012-2013 წლების განმავლობაში ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში წამყვანი ადგილი ეკავა და ბოლო წლების მიხედვით საშუალოდ 24 პროცენტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილები არ იწარმოება საქართველოში მათი რეექსპორტი მნიშვნელოვან დამატებულ ღირებულებას ქმნის ქვეყანაში.

2014 წლის პირველ ნახევარში, 2013 წლის პირველ ნახევართან შედარებით მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 29 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა და მოსალოდნელია, რომ კლების ტენდენცია კვლავ გაგრძელდეს. ამ ამხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კლება აზერბაიჯანის მიმართულებით (42 მლნ აშშ დოლარი), რომელიც აზერბაიჯანის მიერ შემოღებული სხვადასხვა რეგულაციებით იყო გამოწვეული.

იდენტიფიცირებული პოზიტიური და ნეგატიური მაკროეკონომიკური ფაქტორები ძირითადად განაპირობებენ ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებას. ერთობლივ მიწოდებაზე მოქმედ ერთადერთ ფაქტორს წარმოადგენს ნავთობის მსოფლიო მოსალოდნელი ტენდენციები, რაც პოზიტიური ფაქტორია.

გარდა ამისა, ერთობლივი მიწოდების რისკებს ბიუჯეტის მაჩვენებლებზე შედარებით ნაკლები გავლენა აქვს. მშპ-ს კლებას თან ახლავს ფასების ზრდა, ხოლო მშპ-ს ზრდას ფასების კლება, რის გამოც მშპ-ის და ფასების ცვლილებით გამოწვეული ფისკალურ ეფექტები ასუსტებენ ერთმანეთს.

შესაბამისად, ფისკალური სცენარების ანალიზისას განხილულია ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებებით გამოწვეული ფისკალური შედეგები და ცვლილების აღნიშნული სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია საბიუჯეტო პოლიტიკის პასუხები.

5. სცენარების ანალიზი

5.1 საბაზისო სცენარი.

საბაზისო სცენარი ეყრდნობა 5 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდასა და 4 პროცენტიანი ინფლაციის დაშვებას. საბაზისო სცენარის მიხედვით 2015 წლისათვის დაგეგმილია 8,765 მლნ ლარის შემოსავლის მობილიზება, საიდანაც 8,030 მლნ ლარი იქნება საგადასახადო შემოსავლები, საოპერაციო სალდო - 1,111 მლნ ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 1,866 მლნ ლარი, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტი დაფიქსირდება 645 მლნ ლარის დონეზე.

პოზიტიური სცენარი.

პოზიტიური სცენარი ითვალისწინებს ეკონომიკის ზრდის ტემპის დაჩქარებას 2015 წელს 1.2 პროცენტული პუნქტით და ფასების გაზრდას 1.0 პროცენტული პუნქტით საბაზისო სცენართან შედარებით, ხოლო 2016-2018 წლებში ეკონომიკის ზრდის ტემპის დაჩქარებას 1.5 პროცენტული პუნქტით და ფასების 1.0 პროცენტული პუნქტით ზრდას.

შესაბამისად, აღნიშნული სცენარი ეყრდნობა 2015 წლისათვის ეკონომიკის 6.2 პროცენტით და ფასების დონის 5 პროცენტით ზრდის დაშვებას. ხოლო შემდგომ პერიოდში ეკონომიკის 7 პროცენტით, ხოლო ფასების საშუალოდ 5 პროცენტით ზრდას.

პოზიტიური სცენარის პოლიტიკის პასუხი იქნება ხარჯების საბაზისო სცენარის შესაბამის დონეზე შენარჩუნება, რაც გამოიწვევს საბაზისო სცენართან შედარებით ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, ფისკალური ბუფერის ზრდას და მთავრობის ვალის კლებას.

ნეგატიური სცენარი

ნეგატიური სცენარი ითვალისწინებს ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებას 1.5 პროცენტული პუნქტით და ფასების 0,8 პროცენტული პუნქტით შემცირებას საბაზისო სცენართან შედარებით, ხოლო 2016-2018 წლებში ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებას 2 პროცენტული პუნქტით და ფასების 1.0 პროცენტული პუნქტით შემცირებას.

შესაბამისად, აღნიშნული სცენარი 2015 წლისათვის ეყრდნობა ეკონომიკის 3.5 პროცენტიანი და ფასების 3.2 პროცენტიანი ზრდის დაშვებას, ხოლო შემდგომ პერიოდში ეკონომიკის 3.5 პროცენტით და ფასების საშუალოდ 3 პროცენტით ზრდას.

ნეგატიური სცენარის განვითარების შემთხვევაში პოლიტიკის პასუხი იქნება არაფინანსური აქტივების ზრდის შემცირება საგადასახადო შემოსავლების დანაკლისის 70%-ით, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა დარჩენილი 30%-ით.

ნეგატიური შოკის შემდგომი წლის ბიუჯეტი დაიგეგმება არსებული შოკის გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივები შენარჩუნდება საბაზისო სცენარის შესაბამისად (რომელიც დაგეგმილი იყო შოკის არ არსებობის შემთხვევაში), ხოლო საგადასახადო შემოსავლების კლება სრულად დაკომპენსირდება მიმდინარე ხარჯების შესაბამისი შემცირებით.